ოქმი:**ო12. 3723326001**

თარიღი:**22/11/2023**

ოქმი № 19

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2023 წელი, 22 ნოემბერი
ქ.ოზურგეთი
12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვლ. ხავთასი, ბ. მელუა, დ. მდინარაძე, ნ. სარჯველაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ე. გორდელაძე, ხ. ცერცვაძე, გ. სირაძე, ი. თუთბერიძე, მ. ვაშალომიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ მიმდინარე წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

თანამომხსენებელი: ლალი სიჭინავა

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე, აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოტანილი იქნა არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში და პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, შემოსავლები და ხარჯები, აღნიშნა 2024 წლის ბიუჯეტი სავარაუდოდ დაიგეგმება 37მილიონ 725 ათასი ლარით, ანუ მიმდინარე წლის ბიუჯეტს აღემატება 4 მილიონი ლარით, აქედან საკუთარი შემოსავლები იქნება 37 მილიონ 250 ათასი ლარი. ზოგადი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია იმ დარგებისა და პროგრამების დაფინანსებაზე, რომლებიც ფუნქციონალურად ექვემდებარება დარგობრივ კომისიას, განაცხადა, რომ ზოგიერთი ცვლილება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში განხორციელდა მერიის სამსახურების ინიციატივით, ზოგადი განათლების მუხლი ფინანსდება 8 მილიონი ლარით, კულტურისა და სპორტის დაფინანსებას მოხმარდება 7 მილიონი ლარი, სოციალური დახმარებების პაკეტი 1,5 მილიონი ლარით იზრდება.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი განხილვისას წარმოშობილი შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა მეორე საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საკითხი შესწავლილი იქნა კომისიის მიერ, აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში სამსახურს გაწეული აქვს მნიშვნელოვანი მუშაობა და სიტყვა გადასცა თანამომხსენებელს ლ. სიჭინავას, რომელმაც კომისიას კონკრეტულად გააცნო საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ მიმდინარე წლის 9 თვეში გაწეული მუშაობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად და მიღებულ იქნას ცნობად.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N 1 საკითხი წარმოშობილი შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით, დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

2. მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ მიმდინარე წლის 9 თვეში გაწეული მუშაობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად და მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი